

**ვლადიმერ კამინერი: „რუსი ეროვნების
გერმანელი მწერალი“ ჰიბრიდული ენითა
და იდენტობით**

**WLADIMIR KAMINER: “A GERMAN WRITER OF RUSSIAN
ORIGIN” WITH HYBRID LANGUAGE AND IDENTITY**

სოფიო მუჯირი, ირინა კაპანაძე
Sophie Mujiri, Irina Kapanadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ვ. კამინერი, წერის მანერა, ლექსიკა,
ავტორისეული ნეოლოგიზმები, ფრაზეოლოგიზმები,
ლიტერატურული ბილინგვიზმი, სტერეოტიპები

Keywords: W. Kaminer, writing style, vocabulary, author's neologisms,
phraseology, literary bilingualism, stereotypes

ქ. მოსკოვში დაბადებულმა, შემდეგ კი გერმანიაში ემიგრირებულმა მწერალმა, ვლადიმერ კამინერმა, შეძლო „ახალ“ სამშობლოში მაქსიმალური ინტეგრაციის გზით მიეღწია მნიშვნელოვანი წარმატებებისათვის როგორც ლიტერატურულ ასპარეზზე, ისე ბერლინის ტელევიზიაში თავისი საავტორო გადაცემებით.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ვ. კამინერის მხატვრული ტექსტების ენობრივი მხარე, მისი წერის მანერა, რომელიც თანამედროვე გერმანულ სამეცნიერო ლიტერატურაში კვლევისა და დისკუსიის საგანია. მოცემულ ნაშრომში, ვ. კამინერის მოთხრობების („მოგზაურობა ტრულალაში“) მაგალითზე, განვიხილავთ ავტორის წერის მანერის თავისებურებებს, ნაწარმოებების ენას – ლექსიკას, განსაკუთრებით, ავტორისეულ ნეოლოგიზმებსა და ფრაზეოლოგიზმებს, რომლებიც გამოირჩევიან გამოყენების მრავალფეროვნებით როგორც სტრუქტურული, ისე სემანტიკური თვალსაზრისით. ვ. კამინერი კრეატიულად იყენებს ნეოლოგიზმებსა და ფრაზეოლოგიზმების მოდიფიკაციის ხერხებს (სუბსტიტუცია, დამატება, კონტამინაცია), რაც შეზავებულია მისი წერის მანერისათვის ნიშანდობლივი მსუბუქი ირონიით.

ვ. კამინერის მხატვრულ ტექსტში უჩვეულო ენობრივი ვარიანტებისა და კონცეპტების გამოყენება, არასტანდარტული პერსონაჟებისა და სიტუაციების შერჩევა იძლევა კონვენციური ფასეულობების სრულიად ახალი კუთხით დანახვის საშუალებას.

ვ. კამინერის ნაწარმოებებს ახასიათებს ლიტერატურული ბილინგვიზმი; ერთმანეთს უპირისპირდება რუსული და გერმანული კულტურა და ენობრივი ფორმა. ვ. კამინერი გერმანულ ენაზე წერს, თუმცა ითვალისწინებს როგორც გერმანელ, ისე რუს მკითხველსაც და ახდენს ორივე ენის კულტურული პლასტების აქტუალიზებას.

გარდა ლიტერატურული ორენოვნებისა, ვ. კამინერის ნაწარმოებებში ყურადღება გამახვილებულია კულტურათა ურთიერთობების, ნაციონალურ-კულტურული იდენტობის საკითხებზე,

მისი უარყოფის სურვილსა და ჰიბრიდულ კულტურასთან მიერთების, კულტურულ-ეთნიკური საზღვრების გადალახვის ტენდენციაზე. ვ. კამინერი, როგორც ინტერკულტურული მიმართულების მწერალი, ცდილობს თავის ნაწარმოებებში საკუთრი ჰიბრიდული მენტალობის დემონსტრირებას. ის საეჭვოდ მიიჩნევს ნებისმიერი კულტურის შესახებ სტერეოტიპების შექმნას და ხაზგასმით აღნიშნავს კულტურათა ურთიერთობების არა მარტო უარყოფით, არამედ კონსტრუქციულ ასპექტებსაც. ამასთან დაკავშირებით, ვ. კამინერის შემოქმედება ხასიათდება ისეთი საკითხების წარმოჩენით, როგორებიცაა: რუსული სივრცე, ხასიათი და სტერეოტიპები, ძველი და ახალი მიგრაციის ტალღები, „უცხოვს“ და „მესამე სივრცის“ ფენომენები და სხვ. მის მოთხრობებში იუმორითაა აღწერილი სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობა, რომელსაც არაფერი აკავშირებს ნამდვილ მოგზაურობასთან, გარდა მწერლის ფანტაზიისა და ასოციაციური აზროვნებისა. ეს წიაღსვლები ორგანულად, დიდი ტაქტითა და იუმორითაა ჩაქსოვილი მის მოთხრობათა მხატვრულ ქსოვილში. ვ. კამინერის მხატვრული სიტყვა, იუმორი თუ მენტალიტეტი – მისი „კოლექტიური ქვეცნობიერის“ სხვადასხვა სახეა.

ლიტერატურა:

- Hausbacher E.** (2009). Poetik der Migration. Transnationale Schreibwesen in der zeitgenössischen russischen Literatur. Tübingen. Stauffenburg Verlag: Narr G nbH.
- Hofmann M. Patrut L. K.** (2015). Einführung in die interkulturelle Literatur. Darmstadt. WGB Verlag.
- Kaminer V.** (2004). Die Reise nach Trulala. München, Taschenbuchausgabe: Goldmann.

Wladimir Kaminer, who was born in Moscow and later emigrated to Germany, achieved significant success through integration in the “new” motherland. He carried out successful literary activities and also had his own programs on Berlin television.

Special mention should be made of the linguistic aspect of W. Kaminer’s literary texts, his manner of writing, which is a subject of research and discussions in the contemporary German scholarly literature. On the example of W. Kaminer’s stories (“Travel to Trulala”), the paper analyzes the peculiarities of Kaminer’s style, the language of his works – vocabulary, especially the author’s neologisms and phraseology, distinguished by diverse usage both structurally and semantically. W. Kaminer applies various ways of modification of neologisms and phraseological units (substitution, addition, contamination). All this is combined with the slight irony so peculiar of his writing style.

W. Kaminer’s literary text is comprised of unusual language variants and concepts, strange characters and situations. All this enables a completely new vision of conventional values.

W. Kaminer’s works are characterized by literary bilingualism, where Russian and German cultures and languages are opposed. W. Kaminer writes in German, but his works are addressed to both German and Russian readers; hence, actualization of cultural layers of both languages.

Apart from literary bilingualism, W. Kaminer addresses the issues of cultural relations and national-cultural identity, the wish to reject this identity and join a hybrid culture, overcoming the cultural-ethnic borders. Being a writer of intercultural direction, W. Kaminer tries to demonstrate his hybrid mentality in his works. He expresses doubts regarding cultural stereotypes and underlines not only the negative but also positive aspects of intercultural relations. In this regard, W. Kaminer outlines issues like the Russian space, character and stereotypes, old and new waves of migration, the phenomena of “stranger” and “the third space” and so on. With his usual humour, he describes travels to

various countries. These travels are imaginary and based on the writer's fantasy and associative thinking, interwoven in the artistic tissue of his stories with great tact and humour. W. Kaminer's style, humour and mentality form different aspects of his "collective subconscious."

References:

- Hausbacher E.** (2009). Poetik der Migration. Transnationale Schreibwesen in der zeitgenössischen russischen Literatur. Tübingen. Stauffenburg Verlag: Narr G nbH.
- Hofmann M. Patrut L. K.** (2015). Einführung in die interkulturelle Literatur. Darmstadt. WGB Verlag.
- Kaminer V.** (2004). Die Reise nach Trulala. München, Taschenbuchausgabe: Goldmann.